საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030672358328320

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1989 **29 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ზედამხედველობით საქართველოში ოპერირებს 42 Cepheid HBDC SAS-ის წარმოების ჯინექსპერტ აპარატი, რომლებიც დამონტაჟებულია დაავადებათა კონტროლის ცენტრის ლაბორატორიული უზრუნველყოფის სადგურებში, ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში, ლუგარის ცენტრში, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში და სხვადასხვა კერძო სამედიცინო დაწესებულებებში ქვეყნის მასშტაბით.

ახალი კორონავირუსის დიაგნოსტიკის მიზნით Cepheid HBDC SAS-მა მარტის ბოლოს დაიწყო პჯრ-მეთოდზე დამყარებული Xpert Xpress SARS CoV2 კარტრიჯების წარმოება. აშშ წამლისა და საკვების ადმინისტრაციამ (FDA) აღნიშნული ტესტ-სისტემის სწრაფი გამოყენების ავტორიზაცია გასცა მარტში და ქვეყნებმა მიიღეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია მისი გამოყენების შესახებ. თუმცა, აღნიშნულ დიაგნოსტიკურ საშუალებაზე მსოფლიო მასშტაბით დიდი მოთხოვნისა და შეზღუდული მიწოდების გამო, ძალიან მცირდება დროულად შეკვეთის განთავსებისა და პროდუქტის მიღების შესაძლებლობა.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს აქვს აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, რის გამოც საქართველო მოხვდა იმ პირველ ქვეყნებს შორის ვისთვისაც გამოიყო Xpert Xpress SARS-CoV-2 ტესტები. დაავადებათა კონტროლის ცენტრმა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური დაფინანსებით „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა” პროგრამის ფარგლებში შეისყიდა ჯინექსპერტის 150 ერთეული XPRSARS-COV2-10 კიტი (1,500 ცალი კარტრიჯი), რომლებიც მოწოდებულია და წარმატებით გამოიყენება ახალი კორონავირუსის დიაგნოსტიკისთვის.

ამჟამად მიმიდინარეობს მოლაპარაკება Cepheid HBDC SAS-თან 4 500 კარტრიჯის (საერთო ღირებულებით 90 000 აშშ დოლარი, რაოდენობა შეზღუდულია) მოწოდების თაობაზე იმ დაშვებით, რომ მოწოდება შესაძლებელი იქნება ამსტერდამში (ე.წ. FCA პირობით) და 7 მაისს დანიშნული თბილისი-ამსტერდმი-თბილისის ჩარტერული რეისის მეშვეობით მოხდება ქვეყანაში ტრანსპორტირება. მოწოდების პირობა მოიცავს კომპანიასთან წინასწარ ანგარიშსწორებას.

თქვენი გადაწყვეტილებას შესაბამისად, გთხოვთ დაავალოთ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს შესყიდვის განხორციელება ან გამოუყოთ რესურსი დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

ეროვნულ ცენტრს კარტრიჯების შესაძენად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე